MES 9 22 0001399585

03/11/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - ცენტრის დირექტორის მოადგილე;
ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი
მარინე შოსტაკი - სკოლის დირექტორი

შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლა
ქეთევან დოჩანაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“
ლიანა ჩარკვიანი - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი
დავით ჯანიაშვილი - სკოლის იურისტი

შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერია
მაკა ბელქანია - სკოლის დირექტორი
ეკა ზაქარეიშვილი - სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი
არჩილ კაიკაციშვილი - სკოლის იურისტი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი
მაკა ჭიაბერაშვილი
თეონა ყაჭეიშვილი

შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლა
გულნარა ხაბურზანია

ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“
მიხეილ ტეფნაძე
ნანა მონიავა

შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერია
გულნარა ხაბურზანია
მაკა ტუკვაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 20 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“-ს ავტორიზაციის საკითხის ხელახლა განხილვა;
4. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის ავტორიზაციის საკითხის ხელახლა განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ჭიაბერაშვილმა და თეონა ყაჭეიშვილმა. ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 07 და 08 სექტემბერს.

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა საბჭოზე დამსწრე პირებს გააცნო დაწესებულების მისია. ექსპერტის განცხადებით, მისია იყო ლაკონურად ჩამოყალიბებული და პასუხობდა სკოლის საქმიანობას. მაკა ჭიაბერაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა სრულად შეესაბამებოდა აღნიშნული სკოლის მოსწავლეთა საჭიროებებს. სკოლაში სწავლობდა 36 მოსწავლე და ყველა მათგანი იყო სსსმ და შშმ სტატუსის მქონე. ყველა მათგანი იყო მძიმე ინტელექტუალური დარღვევების მქონე. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის საფუძველი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ცენტრში გაგზავნილი წერილი სკოლის გარკვეული გადაცდომების თაობაზე, კონკრეტულად კი პირველკლასელი მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წესის დარღვევის შესახებ. ექსპერტის განმარტებით ექსპერტთა ჯგუფის შესწავლის საგანს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.7 და 2.9 ქვესტანდარტები. ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასების პროცესში სკოლამ გამოავლინა მაღალი თანამშრომლობითი კულტურა. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა ასევე, საბავშვო ბაღი, სადაც ირიცხებოდა წერილში დაფიქსირებული მოსწავლე. ბაღის დასრულების შემდგომ, აღნიშნული მოსწავლის მიმღებმა მშობელმა (რომელიც არ გახლდათ ბავშვის ბიოლოგიური მშობელი) მიმართა სკოლას განცხადებით, ბავშვის ამავე სკოლაში პირველ კლასში ჩარიცხვის თაობაზე. შემდეგ ეს მშობელი აღარ გამოჩენილა მიმდინარე წლის მარტის თვემდე, მარტში მშობელი კვლავ მივიდა სკოლაში და დააფიქსირა განცხადებით, განმეორებით, რომ სურდა ბავშვის ჩარიცხვა პირველ კლასში, თუმცა საჭირო დოკუმენტაცია კვლავ ვერ წარმოადგინა. ექსპერტის განმარტებით, საკითხის შესწავლამ აჩვენა, რომ სკოლის დაყოვნების მიზეზი შესაძლებელია ყოფილიყო ისიც, რომ მიმღები მშობელი არ იყო უფლებამოსილი განცხადებით მიემართა სოციალური მუშაკისთვის. სოციალური მუშაკის განმარტებით, მას არ ჰქონდა სკოლასთან კომუნიკაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და ვერ ახორციელებდა დაკისრებულ ფუნქციას. ექსპერტის განმარტებით,

იმის ნაცვლად, რომ პირველ კლასელი მოსწავლისთვის, რომელიც დარეგისტრირებული იყო უკვე სკოლაში, სკოლას შეეჩერებინა მოსწავლის სტატუსი, მიმღებ მშობელთან და სოციალურ მუშაკთან კომუნიკაციის არ ქონის გამო, სკოლამ მიიღო არასწორი გადაწყვეტილება და ბავშვი ჩატოვა პირველ კლასში. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული მოსწავლის მიმღებმა მშობელმა გადაწყვიტა, რომ ვერ შეძლებდა ბავშვისთვის განათლება მიეცა კერძო სკოლაში და მან მიმართა სსიპ - ქ. თბილისის 32-ე საჯარო სკოლას მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის თაობაზე. რადგან ბავშვი უკვე დარეგისტრირებული იყო პირველ კლასში, საჯარო სკოლა მის ხელახალ რეგისტრაციას პირველ კლასშივე ვერ განახორციელებდა სანამ წინა სკოლაში არ გაუქმდებოდა რეგისტრაცია. მოგვიანებით, როდესაც სოციალური მუშაკი ჩაერთო აღნიშნულ საქმეში, სკოლისთვის აღარ მიუმართავს და პირდაპირ მიმართა განცხადებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სკოლისთვის აღნიშნულის თაობაზე არავის მიუმართავს რაიმე კითხვით. ექსპერტის განმარტებით, ექსპერტები დაუკავშირდნენ სოციალურ მუშაკს, ჰქონდათ მასთან ინტერვიუ და დადასტურდა აქ განხილული ყველა გარემოება. ექსპერტის განცხადებით, მათ შეისწავლეს სკოლის საქმისწარმოების დოკუმენტაცია, რომლის შედეგადაც გამოვლინდა დაწესებულების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტთან შეუსაბამობა. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ წარმოადგინა ხარვეზების გამოსწორების ამსახველი დოკუმენტაცია. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ იგეგმებოდა ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრისთვის რესურსსკოლის სტატუსის მინიჭება.

ექსპერტ, თეონა ყაჭეიშვილის განცხადებით სკოლაში აღმოჩენილ ხარვეზებთან დაკავშირებით მთელი სკოლის გუნდი იყო ჩართული და მყისიერად ითვალისწინებდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ რეავტორიზაციის საკითხვის განხილვისას საბჭოს სხდომაზე იყო ხანგრძლივი დისკუსია მასწავლებელთა სტატუსების შეთავსების თაობაზე. დავით მალაზონია დაინტერესდა, თუ როგორ გადაწყვიტა აღნიშნული საკითხი სკოლამ.

სკოლის დირექტორმა, მარინე შოსტაკმა განმარტა, რომ ხუთმა პედაგოგმა წარმატებით გაიარა სპეცმასწავლებლის გამოცდა და მათ უკვე ჰქონდათ სპეცმასწავლებლების სტატუსი. ასევე, გამოცხადებული იყო დამატებით კონკურსები. მან აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან გათვალისწინებულ იქნა ექსპერტების რჩევა და დაწყებული იყო სამართლებრივი პროცედურები რესურსსკოლის სტატუსის მოსაპოვებლად. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზი, რომელიც გახდა მონიტორინგის საფუძველი იყო კომუნიკაციის ნაკლებობით გამოწვეული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის (ს/კ: 204892704) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომას, 15:30 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი.
საბჭოს სხდომა, 15:35 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ.

2. შპს გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, გულნარა ხაბურზანიამ და ელისო ლოლაშვილმა - მერებაშვილმა.
ექსპერტ, გულნარა ხაბურზანიას თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 13 და 14 სექტემბერს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის საფუძველი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტში 30 ივნისს წარმოდგენილი კორესპონდენცია, რომლითაც მოწოდებული იყო ინფორმაცია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ამავე სკოლის ერთ-ერთი მოსწავლის სხვა კერძო სკოლაში, საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის მეექვსე კლასში ასახვის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ მიმღებ სკოლას განცხადებით მიმართა მოსწავლის მშობელმა და ითხოვა მისი შვილის ზემოხსენებული პროგრამის მე-6 კლასში ჩარიცხვა. ექსპერტის თქმით, აღნიშნული განცხადება განიხილა მიმღები სკოლის სასკოლო კომისიამ, მოსწავლეს ჩაუტარდა ცოდნის დონისა და უნარების შემოწმება, რის საფუძველზეც კომისიის დასკვნის თანახმად, მოსწავლის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა ფარავდა საერთაშორისო ბაკალავრიატის მე-5 კლასის პროგრამას. ინფორმაციის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნულმა მოსწავლემ 2022 წლის 17 ივნისს დაასრულა შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის მე-4 კლასი და გადავიდა მე-5 კლასში.

ამასთან, დადგინდა, რომ 2022 წლის 5 ივლისის №22-27 ბრძანებით შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის მიერ მოსწავლეთა სიიდან ამოირიცხა აღნიშნული მოსწავლე, როგორც მე-6 კლასის მოსწავლე და ჩარიცხულ იქნა სხვა კერძო სკოლის საერთაშორისო ბაკალავრიატის საბაზო საფეხურის მე-6 კლასში. მიმდინარე წლის 18 სექტემბერს ექსპერტთა ჯგუფმა ინფორმაციის დაზუსტების მიზნით შუამდგომლობით მიმართა ცენტრს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან (eschool) მოცემული მოსწავლის ისტორიის ველში ასახული მონაცემების, კლასიდან კლასში მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. გულნარა ხაბურზანიამ განმარტა, რომ აღნიშნული შუამდგომლობის საფუძველზე სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიმდინარე წლის 20 სექტემბერს ცენტრში შემოვიდა კორესპონდენცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც დადგინდა შემდეგი: აღნიშნული მოსწავლე 2018 წელს ჩაირიცხა შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის პირველ კლასში, ხოლო 2019 წელს გადაყვანილი იქნა პირველი კლასიდან მეორე კლასში. 2020 წელს მან დაძლია მეორე კლასი და გადაყვანილი იქნა ამავე სკოლის მესამე კლასში. 2021 წელს მოსწავლე გადაყვანილი იქნა მესამე კლასიდან მეოთხე კლასში. 2022 წელს მან დაძლია მეოთხე კლასი და გადავიდა ამავე სკოლის მეხუთე კლასში. თუმცა, მალევე ისარგებლა მობილობის უფლებით და გადავიდა ერთ-ერთ კერძო სკოლაში (მიმღები სკოლა). ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიმღები სკოლიდან გაგზავნილ მოთხოვნაში ფიქსირდებოდა, რომ მოსწავლის მშობელი განცხადებით ითხოვდა მისი შვილის მიმღები სკოლის მეექვსე კლასში ჩარიცხვას. მიმღები სკოლაც უთითებდა, რომ მისი ჩარიცხვა განხორციელდებოდა მეექვსე კლასში. ამასთან, შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართულმა სკოლამაც აღნიშნული მოსწავლე ბრძანებით ამორიცხა მეექვსე კლასიდან, მიუხედავად იმისა, რომ იგი რეალურად ირიცხებოდა მეხუთე კლასში. შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის მიერ ზემოხსენებული მოსწავლის ამორიცხვის შემდეგ მიმღებმა სკოლამ იგი ბრძანებით ჩარიცხა მეექვსე კლასში. თუმცა ვინაიდან სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ (eSchool) არ მისცა შესაძლებლობა ჩაერიცხა მეექვსე კლასში, 2022 წლის 23 ივნისს N698966 კორესპონდენციით მიმართა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და მოითხოვა მისი გადაყვანა მეექვსე კლასში, ვინაიდან მიმღები სასკოლო კომისიის გადაწყვეტილებით მიჩნეული იქნა, რომ მოსწავლე ფარავდა მეხუთე კლასის პროგრამას.

ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ განმარტა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგის დროს შეფასდა სკოლის შესაბამისობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მატერიალური რესურსის სტანდარტის 2.7 და 2.9 ქვესტანდარტებთან მიმართებით. ექსპერტის განცხადებით, 2.9 ქვესტანდარტთან მიმართებით გამოვლინდა ხარვეზი, რომლის თანახმადაც, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში არ მიმდინარეობდა კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის წარმოება და აღრიცხვა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შემოსული კორესპონდენციებისა და სკოლის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტების შესწავლისას დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადებები არ შეიცავდა განმცხადებლის პირად ნომერს და არ ახლდა წარმოდგენილ განცხადებებს პირადობის მოწმობის ასლები, რითაც სკოლა შეძლებდა მოეხდინა პირის იდენტიფიცირება. ექსპერტის თქმით, მოსწავლეთა ჩარიცხვის თაობაზე განცხადებების რეგისტრაცია არ მიმდინარეობდა დადგენილი პროცედურებით. აქვე, გულნარა ხაბურზანიამ დაამატა, რომ დაწესებულებასთან გასაუბრების დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებდნენ ექსპერტთა მითითებებს და მომავალში დაარეგისტრირებდნენ ყველა შემოსულ განცხადებას დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, შეიცვლებოდა განცხადებების ფორმა, სადაც მითითებული იქნებოდა განმცხადებლის პირადი ნომერი და თანდართული იქნებოდა განმცხადებლის პირადობის მოწმობა.

გულნარა ხაბურზანიას განცხადებით, დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების შესწავლისას დადგინდა, რომ ბრძანებების

უმეტესობა არ მოიცავდა საკონსტატაციო ნაწილს, ბრძანების გასაჩივრების, ძალაში შესვლის, საჯაროობის უზრუნველყოფის და სხვ. პირობებს, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებით იყო განსაზღვრული. ექსპერტის თქმით, სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული მოეყვანა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, რაზეც სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებდნენ შემდგომ საქმიანობაში. გულნარა ხაბურზანიამ აღნიშნა, რომ სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესწავლისას დადგინდა, რომ სკოლის მიერ დადგენილი წესით ხელშეკრულებების რეგისტრაცია და აღრიცხვა არ ხდებოდა.
ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ დაამატა, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გადამოწმებულ იქნა ბოლო ექვსი წლის განმავლობაში განხორციელებული მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, აღდგენის, ექსტერნის ფორმით დაძლევის ამსახველი ინფორმაცია და ვერ დადგინდა მოსწავლის სხვა კლასში (ასაკობრივად შეუსაბამობა ან კლასში ცდომილება) ჩარიცხვის ან ამორიცხვის ფაქტები. ამასთან, სისტემის შესწავლისას სკოლის მხრიდან ფიქსირდებოდა მობილობის უარყოფის ფაქტებიც, სადაც ხშირ შემთხვევაში მიბმული იყო უარყოფის საფუძვლები (არასწორად მოთხოვნილი კლასი, მოსწავლის პირადი ნომერი), რითაც შესაძლებელი იყო ექსპერტებს ევარაუდათ, რომ დაწესებულება შესაბამისად რეაგირებდა არასწორად გამოგზავნილ მოთხოვნებზე. ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლის ასაკის შესაბამის კლასებში ჩარიცხვის საკითხიც, რაც შესაბამისობაში იყო. ექსპერტის თქმით, გადამოწმებულ იქნა მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის საკითხები, სკოლას გამოცემული ჰქონდა სტატუსის შეჩერების საფუძვლის შესაბამისი ბრძანებები, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდებოდა სოციალური ქსელის მეშვეობით. შესაბამისად, სკოლას ექსპერტთა მიერ მიეცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც მოსწავლის მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის ორი დღის ვადაში უნდა ეცნობებინა მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ.

ექსპერტთა მიერ შეფასების პროცესში გაიცა ასევე, სხვა რეკომენდაციებიც. სტანდარტის უკეთ შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შესაბამისობაში უნდა მოეყვანა მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები სკოლაში მიმდინარე რეალურ გარემოებებთან. კერძოდ, დამრიგებელს შეესრულებინა დებულებითა და შინაგანაწესით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები. გულნარა ხაბურზანიას განმარტებით, წარმოდგენილი შინაგანაწესის მიხედვით კლასის დამრიგებელი ვალდებული იყო 14:00 საათიდან 17:00 საათამდე ყოფილიყო სკოლაში, რაც მოიაზრებდა როგორც სადამრიგებლო პროგრამის მიმართულებით მუშაობას, ასევე, მოსწავლეთათვის გაკვეთილების შემდეგ სამეცადინო პერიოდში დახმარებასა და მეთვალყურეობას. სკოლის დებულების თანახმად მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვა ევალებოდა დამრიგებელს, თუმცა აღნიშნულს ახორციელებდა სკოლის ექიმი. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ ექიმის პირადი საქმის შესწავლისას გამოიკვეთა ექიმის კვალიფიკაციის შეუსაბამობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შესაბამისად, სკოლამ გამოაცხადა ექიმის პოზიციაზე ვაკანსია, ხოლო დასკვნის პროექტის საფუძველზე დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა ექიმთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ დაზუსტების მიზნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რომელ წელს ჰქონდა სკოლას მინიჭებული ავტორიზაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ავტორიზაცია მინიჭებული ჰქონდა 2018 წლის 13 ივლისს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N38 გადაწყვეტილებით.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რომელი სკოლა იყო მოსწავლის მიმღები სკოლა. ექსპერტმა, გულნარა ხაბურზანიამ განაცხადა, რომ მოსწავლის მიმღები სკოლა იყო შპს ევროპული სკოლა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რამ განაპირობა, რომ მოსწავლეს სკოლამ დაძლეულად ჩაუთვალა მე-5 კლასი, მაშინ, როცა მას აღნიშნულ სკოლაში რეალურად დაძლეული ჰქონდა მე-4 კლასი. სკოლის წარმომადგენელმა, ქეთევან დოჩანაშვილმა განაცხადა, რომ მოსწავლის მშობლისგან სკოლაში პირველი განცხადება შემოვიდა მიმდინარე წლის 4 ივლისს, რომელიც სკოლის მიერ დახარვეზდა, რადგან მასში პირადი ნომერი იყო არასწორად მითითებული. სკოლის წარმომადგენლის თქმით, 5 ივლისს განმეორებით შემოვიდა სკოლაში განცხადება, სადაც დაფიქსირებული იყო მშობლის მოთხოვნა მოსწავლის მე-6 კლასიდან ამორიცხვის თაობაზე, რაც სკოლამ ასევე ხარვეზად ჩათვალა. რის შემდეგაც, დაწესებულებას დაუკავშირდა შპს ევროპული სკოლა და განუმარტეს, რომ მოსწავლეს ჩაბარებული ჰქონდა ტესტირება და აღიარებული ჰქონდა მე-5 კლასი. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ აღნიშნულის შემდეგ შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართულ სკოლაში მოსწავლე ბაზაში ირიცხებოდა მე-6 კლასში.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ ვის შეეძლო მოსწავლისთვის კლასის ცვლილება განეხორციელებინა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან დოჩანაშვილმა განმარტა, რომ ბაზაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში ისინი ვალდებულნი იყვნენ აეტვირთათ შესაბამისი დოკუმენტი, მაგალითად ბრძანება კლასის დაძლევის შესახებ, თუმცა მათი მხრიდან აღნიშნული არ განხორციელებულა.

ცენტრის დირექტორის მოადგილემ, კახაბერ ერაძემ ხაზი გაუსვა საკითხის არაორდინალურობას და აღნიშნა, რომ კორესპონდენცია ცენტრში შემოსული იყო განათლების და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტიდან, რის შემდეგაც ჩაინიშნა დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტი. კახაბერ ერაძემ ისაუბრა, რომ აღნიშნული შემთხვევა იძლევა საფუძველს რათა გადავხედოთ საკითხის მარეგულირებელ ჩარჩოს. კონკრეტულად, საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები თავისუფლდებოდნენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რიგი მოთხოვნებისგან. უკვე ინტენსიურ ხასიათს იღებს საერთაშორისო პროგრამებიდან მობილობის სხვა კერძო თუ საჯარო სკოლაში მოსწავლის გადასვლის შემთხვევები და პირიქით, რაც საჭიროებს საკითხის შესწავლას და სავარაუდოდ დამატებით რეგულირებას, რადგანაც ეს პროცესი უკავშირდება უკვე მიღებული განათლების თავსებადობის დადგენას მიმღები პროგრამის მიზნებისათვის. მიუხედავად ამისა, კახაბერ ერაძემ დაწესებულების შესაძლო ხარვეზად დაასახელა მოსწავლის სკოლიდან ამორიცხვის შესახებ გამოცემულ ბრძანებაში არასწორად მითითებული კლასი, თუმცა, მანვე განმარტა, რომ ბრძანების გამოცემის მომენტში მოსწავლის მობილობის პროცესი უკვე დასრულებული იყო და ის ითვლებოდა მიმღები სკოლის მოსწავლედ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის (ს/კ: 404903734) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“-ს ავტორიზაციის საკითხის ხელახლა განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საბჭოს ოქმსა და სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლიანა ჩარკვიანმა ისაუბრა სკოლაში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა ხარვეზების აღმოფხვრის გეგმა და უკვე გამოსწორებული საკითხების ამსახველი დოკუმენტაცია. ლიანა ჩარკვიანმა განმარტა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომელიც შესათანხმებლად გაგზავნილი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საიდანაც ელოდებოდნენ პასუხს. ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა სკოლის ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუშაობა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავდა 38 მასწავლებელი, მათგან 18-ს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. აქვე, ლიანა ჩარკვიანმა განმარტა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობა, მათ შორის კონკურსის გამოცხადებასთან და მასწავლებელთა აყვანასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ კანონმდებლობის დაცვით მიიღეს ახალი კადრები აღნიშნულ პერიოდში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაიწერა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. კერძოდ, სკოლა ითანამშრომლებდა მასწავლებელთა სახლთან და განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან, რომლითაც უზრუნველყოფდა მასწავლებლების ტრენინგებზე დასწრებას.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იყო დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების ამსახველი დოკუმენტაცია. მან დაზუსტების მიზნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა ეტაპზე იყო ახალი კადრების აყვანის პროცესი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ლიანა ჩარკვიანმა განმარტა, რომ აღნიშნული პროცესი იყო ხანგრძლივი და არ იყო დასრულებული, მიმდინარეობდა კვალიფიციური მასწავლებლების მოძიებისა და აყვანის პროცესი.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თვალსაზრისით და ჰქონდა თუ არა სკოლას გათბობა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ლიანა ჩარკვიანმა განმარტა, რომ რადგან საავტორიზაციო ვიზიტის დროს არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი, სასკოლო ინვენტარი არ იყო საკლასო ოთახებში განაწილებული. მან აღნიშნა, რომ მოცემული მომენტისთვის სკოლას ჰქონდა შესაბამისი აღჭურვილობა და საკლასო ოთახები იყო მოწესრიგებული. დაწესებულების იურისტმა, დავით ჯანიაშვილმა დაამატა, რომ დაწესებულებაში დამონტაჟებული იყო გათბობის სისტემა.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა ცვლილებები განხორციელდა სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ. დაწესებულების იურისტმა, დავით ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ ცვლილებები განხორციელდა სკოლის მარეგულირებელ აქტებში და ისინი შესაბამისობაში მოვიდა მოქმედ კანონმდებლობასთან. როგორც აღინიშნა, მოწესრიგდა სკოლის ინვენტარი. წარმომადგენლის განცხადებით, აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ასევე, დაწესებულების ადამიანური რესურსის გაძლიერების მიზნით.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ ხაზი გაუსვა მოსწავლეებისა და მასწავლებლების უსაფრთხოების საკითხს და აღნიშნა, რომ სკოლის მხრიდან მნიშვნელოვანი იყო ამ მიმართულებით მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა ექსპერტებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ ხაზი გაუსვა დაწესებულების ფუნქციონირებისათვის კვალიფიციური ადამიანური რესურსის არსებობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ რადგან სკოლას დაწყებული ჰქონდა ამ მიმართულებით მუშაობა, შესაბამისი ადამიანური რესურსის ყოლის შემთხვევაში შეძლებდა საგანმანათლებლო ფუნქციის შესრულებას.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ დოკუმენტაციის მოწესრიგებასთან ერთად მნიშვნელოვანი იყო დაწესებულებაში ერთიანი ხედვისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში საბჭო შუამდგომლობდა ცენტრთან, 2023-2024 სასწავლო წელს განხორციელებულიყო დაწესებულებაში მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედი სტანდარტების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 327 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“-ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 327 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 20 ოქტომბერს, საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „რეცა“-ს (ს/კ: 216305200) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 327 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 20 ოქტომბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, 2023-2024 სასწავლო წელს განხორციელებულიყო მონიტორინგი ავტორიზაციის იმ დროისთვის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

საბჭოს სხდომას, 16:30 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე.

4. შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის ავტორიზაციის საკითხის ხელახლა განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საბჭოს ოქმსა და სააპელაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, თუ რა იყო შეცვლილი ამ პერიოდში სკოლაში და რის ცვლილებას აპირებდნენ მომავალში. სკოლის წარმომადგენელმა, არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა, რომ ყველა ხარვეზი, რაც იყო დაფიქსირებული საავტორიზაციო ვიზიტის დროს, აღმოფხვრილი იყო სკოლის მიერ. ასევე განაცხადა, რომ სკოლა იყო სრულ მზადყოფნაში გაეგრძელებინა საგანმანათლებლო საქმიანობა იმ შემთხვევაში, თუ მიიღებდა ავტორიზაციას. მისი თქმით, დაწესებულებას ეყოლებოდა ახალი დირექტორი.
დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა, ეკა ჩერქეზიშვილმა განმარტა, რომ ყველა ხარვეზი, რაც დაფიქსირებული იყო საავტორიზაციო ვიზიტის დროს, სკოლის დიდი შრომისა და სისტემური გარდაქმნების წყალობით გამოსწორებული იყო. ყველა სასკოლო დოკუმენტი განახლებული იყო და დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მოპოვების შემდგომ აღნიშნული დოკუმენტაცია დამტკიცდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა განახლებული მენეჯმენტითა და განახლებული დოკუმენტაციით ემზადებოდა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში.

საბჭოს სხდომაზე, 16:40 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა 16:45 საათზე განახლდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში საბჭო შუამდგომლობდა ცენტრთან, 2023-2024 სასწავლო წელს განხორციელებულიყო დაწესებულებაში მონიტორინგი იმ დროისთვის მოქმედი სტანდარტების მიხედვით.
საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 170 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 20 ოქტომბერს, საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიას (ს/კ: 211358449) 6 წლის ვადით, მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170 - ით. აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 20 ოქტომბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, 2023-2024 სასწავლო წელს განხორციელებულიყო მონიტორინგი ავტორიზაციის იმ დროისთვის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:55 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა